

საავტომობილო საწვავის (ბენზინის) შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ნინოწმინდა
2012 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად. (იხ.http://procurement.gov.ge/)

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ფიზიკური პირისთვის:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები , სატენდერო წინადადების ფასი. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა: (მიუთითეთ კონკრეტული თარიღი) **(სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე) (დანართი 1)**

ბ) ფასების ცხრილი (დანართი 2)

გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მის საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურების შესახებ (საქართველოს ტერიტორიაზე, ადგილმდებარეობების მიხედვით). მინიმუმ ერთი ავტოგასამართი სადგური ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა საბუთი უნდა იყოს წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული.

2.2. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს: ,, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ (ტენდერი გამოცხადებულია);

2.3 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების მე–12 მუხლის მე–8, მე–9 პუნქტების შესაბამისად. (მე–8: პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე ან სისტემის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

მე–9: პრეტენდენტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ელექტრონული სახით) შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

2.4 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2. 5 ანგარიშსწორების პირობები:

ა) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით.

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

დ) ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად მიღება– ჩაბარების აქტების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2.6.საქონლის მოწოდების საბოლოო ვადა 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

2.7. დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი.

2.8. მოწოდების ადგილი: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ. 43

2.9. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა: 112000 (ას თორმეტი ათასი) ლარი

2.10. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ეკატერინე ოქრომელიძე, ტელ. 593–44–11–34, ელ. ფოსტა: gninotsminda@mail.com. მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ.43

3. ტექნიკური დავალება

3.1. შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური პარამეტრები:

ა) ბენზინი (პრემიუმი) ოქტანური რიცხვით არანაკლებ - 95 – რაოდენობა – 32550 ლიტრი.

ბ) ბენზინი (რეგულარი) ოქტანური რიცხვით არანაკლებ - 91 – რაოდენობა – 20500 ლიტრი.

მისაწოდებელი ბენზინი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის 2003 წლის 12 სექტემბრის #323 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ 41:2001 „ბენზინი საავტომობილო. ტექნიკური პირობები“ დამტკიცების შესახებ და „საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის #124 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2.მიმწოდებელი ვალდებულია საწვავის ფასის გამოთვლა და მოწოდება მოახდინოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–19 მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრული შემდეგი ფორმული შესაბამისად:

C=Rx(P+Z)x(100%+18%)x D/1000, სადაც:

ა) C = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში);

ბ) R = წინადადების წარმოდგენის, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი);

გ) P = წინადადების წარმოდგენის, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი მონაცემის საშუალო ფასი (ცვლადი კომპონენტი);

დ) Z = ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;_

ე) 18% = დღგ;

ვ) D = წინადადებით წარმოდგენილი ნავთობობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.

3.3. “C”-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ „R”-ის ან/და „P“-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს „C”-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ (მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული) ფასთან მიმართებაში. ამასთან, „C” უნდა იყოს, შემსყიდველის მიერ საწვავის

მიწოდების მოთხოვნის დღეს შესაბამისი მიმწოდებლის ქსელში (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გაყიდვის ყველა სხვა ობიექტზე) იგივე პროდუქტის ერთ ლიტრ საწვავზე მინიმუმ სამი თეთრით (0,03ლარით) ნაკლები.

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება და დაიხვეწება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. ნინოწმინდა 2012 წლის ————————

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') საკრებულოს თავმჯდომარის ვლადიმირ სტამბოლციანის სახით და მეორეს მხრივ, ———————— (შემდგომში მომწოდებელი), მისი დირექტორის ———————————— სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ‘‘ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ’’ (შემდგომში _ ‘‘ხელშეკრულება’’) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ‘‘ხელშეკრულების ღირებულება’’ – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ‘‘შემსყიდველი ორგანიზაცია’’ (შემდგომში ‘‘შემსყიდველი’’) – ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ‘‘მიმწოდებელი’’ – ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ‘‘დღე’’, ‘‘კვირა’’, ‘‘თვე’’ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6.,,მომსახურება'' – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი.

1.7. ,,ტექნიკური დავალება'' – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის საგანს წარმოადგენს:

ა) ბენზინი (პრემიუმი) ოქტანური რიცხვით არანაკლებ - 95 – რაოდენობა ————————ლიტრი.

ბ) ბენზინი (რეგულარი) ოქტანური რიცხვით არანაკლებ - 91 – რაოდენობა ————————ლიტრი.

2.2. მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხლშეკრულების ღირებულება შეადგენს ———————— ლარს. მომწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

ა) ბენზინი (პრემიუმი) ოქტანური რიცხვით არანაკლებ - 95 ———————— ლარი

ბ) ბენზინი (რეგულარი) ოქტანური რიცხვით არანაკლებ - 91 ———————— ლარი

3.2. წინმდებარე ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.3. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება

შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.
3.4. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.
3.5 მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.)

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში საწვავის მოწოდება ტალონური სისტემით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვით.
ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების შესრულება დროულად და ხარისხიანად.
4.2. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია:
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5. სტანდარტები

5.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს – მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის 2003 წლის 12 სექტემბრის №323 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ 41:2001 „ბენზინი“ საავტომობილო ტექნიკური პირობები“ დამტკიცების შესახებ და „საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნების შესაბამისად.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად
6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს _____
_____
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
6.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის _____

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ტალონური სისტემით, ეტაპობრივად, შემსყიდველის წინასწარი შეკვეთების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დავალების გაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისი ტალონების მიწოდება. ტალონების მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
7.3 ტალონების მიწოდების ადგილია ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ. 43. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
7.4 საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ავტოგასამართი სადგურის მეშვეობით.
7.5 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი.

8.1 შემსყიდველის მიერ ტექნიკური დავალების გაცემიდან (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით) არანაკლებ 5 (ხუთი) დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში (10 ან 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან უკვე

გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ყოველი ტალონი უნდა იყოს დამოწმებული მიმწოდებლის ბეჭდით და მასზე უნდა იყოს აღნიშნული:
ა) მიმწოდებლის დასახელება;
ბ) ტალონის ნომერი;
გ) საქონლის სახეობა;
დ)საქონლის რაოდენობა.
8.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული ხარისხისა და რაოდენობის საქონლით.
8.3 ტალონების მიღება–ჩაბარებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
9.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
9.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

10. ფასები

10.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში
10.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს (————————) ლარს,
10.3 საწვავის ფასების ცვლილება მოხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:
10.3.1. C=Rx(P+Z)x(100%+18%)x D/1000, სადაც:
ა) C = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში);
ბ) R = წინადადების წარმოდგენის, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი);
გ) P = წინადადების წარმოდგენის, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი მონაცემის საშუალო ფასი (ცვლადი კომპონენტი);
დ) Z = ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;_
ე) 18% = დღგ;
ვ) D = წინადადებით წარმოდგენილი ნავთობობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.
10.3.2.“C”-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ „R”-ის ან/და „P“-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს „C”-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ (მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული) ფასთან მიმართებაში. ამასთან, „C” უნდა იყოს, შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს შესაბამისი მიმწოდებლის ქსელში (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გაყიდვის ყველა სხვა ობიექტზე) იგივე პროდუქტის ერთ ლიტრ საწვავზე მინიმუმ სამი თეთრით (0,03ლარით) ნაკლები.
10.3.3. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შეტანილი იქნება ისეთი ცვლილება, რომლითაც შეიცვლება 10.3.1 ქვეპუქტით განსაზღვრული ფასის გაანგარიშების ფორმულა, ამ შემთხვევაში მხარეები აფორმებენ წერილობით შეთანხმებას 10.3.1 ქვეპუნქტის ცვლილების თაობაზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3.4 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორ–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%–ის ოდენობით.
14.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
14.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
~

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ფორს – მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.
16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს–მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი

გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
16.3 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია დოკუმნტის თავში მითითებული თარიღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი ,,მიმწოდებელთან'' და სამი პირი შემსყიდველთან).

19. ხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43
ს/ს ,,ლიბერთი ბანკის'' ნინოწმინდის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ GE51LB0120146252122000
ს/კოდი 236689669

_____

ვ. სტამბოლციანი

მომწოდებელი:

დანართი # 1

1.რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა: (მიუთითეთ კონკრეტული თარიღი)

(სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე)

ხელმოწერა, ბეჭედი ———————————————

დანართი #2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება ———————————————————————

#	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	მოწოდების ვადა	მოწოდების ადგილი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8

პრეტენდენტი ———————————————————————

(ხელმოწერა, ბეჭედი)